გარდაიცვალა ბატონი ვაჟა კეშელავა - ფილოსოფოსი და პოლიტოლოგი, 2000 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში პოლიტოლოგიის ინსტიტუტის დაფუძნების ინიციატორი და წლების განმავლობაში მისი ხელმძღვანელი.

ჟურნალი „პოლიტიკა“ აქვეყნებს ვაჟა კეშელავას ერთ-ერთ ნაშრომს და რამდენიმე სტატიას მისი ცხოვრებისა და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

ვაჟა კეშელავა

რუსულ-ქართული ურთიერთობები წარსულის ტყვეობაში (ისტორია და პოლიტიკა)

ღრმა პოლიტიკური კრიზისებისა და შეჩვეული ცხოვრების წესის მსხვრევის პერიოდში საზოგადოებრივი აზრი, როგორც წესი, მომეტებულ ინტერესს ავლენს ფუნდამენტურ საკითხებისადმი, რომლებიც პოლ გოგენმა თავის სახელგანთქმულ ტილოზე შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: "ვინ ვართ ჩვენ? საიდან მოვდივართ? სად ვართ? საითკენ მივისწრაფით? ვინ ვიქნებით?" ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ დღევანდელ საქართველოში ქვეყნდება მრავალი საისტორიო ნაშრომი და მათი რაოდენობა სულ უფრო იზრდება. ასეთი შემეცნებითი ინტერესის ახსნის გასაღები ანტიკვარისადმი იდუმალ ვნებაში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ იმ სიტუაციის ზედაპირზე, რომელსაც განიცდის მთელი პოსტსაბჭოური სამყარო და რომელიც წარსულის ტყვეობისაგან თავის დახსნას ცდილობს.

საქართველო საბჭოთა კავშირის ნგრევის მომენტიდან დღემდე, არის დამოუკიდებლობის დაკარგვის მზარდი საფრთხის წინაშე. საფრთხე კი რუსეთიდან მომდინარეობს. თავდაპირველად ის მალავდა თავის იმპერიულ ზრახვებს და მოქმედებდა შემცვლელი ფიგურების მეშვეობით, რისთვისაც აფხაზეთისა და ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეჟიმებს იყენებდა. მოგვიანებით, როდესაც სეპარატისტული თამაშების რესურსი ამოიწურა, ღია ზეწოლაზე გადავიდა. იმ მომენტისთვის, როდესაც რუსეთმა სახელმწიფო პოტენციალი აღიდგინა, რწმენაც განუმტკიცდა, რომ მსოფლიო მნიშვნელობის სახელმწიფოს სტატუსის დაბრუნების დროც დადგა. ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა ვ.პუტინმა მიუნჰენში განაცხადა საჯაროდ.

2007 წელი, მიუნჰენი - მსოფლიო პოლიტიკის ახალი ათასწლეულის მნიშვნელოვანი მიჯნა გახდა. სიმბოლურია, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში კარგად გარკვეულმა ჟურნალისტებმა უცებ გაიხსენეს ცივი ომის პერიოდი, რომლის აჩრდილიც აღიმართა მათ წინაშე, როგორც მსოფლიო ასპარეზზე წამყვანი მოთამაშის როლში რუსეთის დაბრუნების სახიფათო ნიშანი, რაც ისედაც დაძაბულ საერთაშორისო ურთიერთობებს სიმშვიდეს არ უქადდა.

მსოფლიო პოლიტიკაში მომხდარი, ერთი შეხედვით შეუმჩნეველი ცვლილებები, პოსტსაბჭოურ სივრცეზეც აისახა. შესაძლოა ჩვენში, მისი დადგომის გარდუვალობა ბევრად უფრო ადრე და ბევრად უფრო მტკივნეულად შეიგრძნობა. ყოველ შემთხვევაში, პოსტსაბჭოურ პერიოდში ჩამოყალიბებული საქართველოს ურთიერთობები რუსეთის ფედერაციასთან, ყოველთვის რთული და დაძაბული იყო. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროის განმავლობაში საქართველოში სამჯერ შეიცვალა ხელისუფლება და მისი პრეზიდენტები სხვადასხვა პოლიტიკურ სისტემებს

ედგნენ სათავეში, რუსეთში კი შენარჩუნებული იყო ხელისუფ-ლების მემკვიდრეობითობა, ელცინის რუსეთიც და პუტინის რუსეთიც საქართველოსადმი ერთნაირად მტრულად იყვნენ გან-წყობილნი. მართალია, პირველ ხანებში ცდილობდნენ ამ გან-წყობილების დაფარვას და მისთვის პატერნალისტური ფორმის მიცემას. რუსეთმა საკუთარი ნებით იტვირთა მედიატორის ფუნქცია და თბილისი-სოხუმისა და თბილისი-ცხინვალის კონ-ფლიქტებში შუამავლის როლში მოგვევლინა. სინამდვილეში მი-სი სამშვიდობო მისია იმპერიული პოლიტიკის - "დაჰყავი და იბატონე" - პირდაპირი გაგრძელება იყო. პოლიტიკისა, რომე-ლიც აღვივებდა აფხაზებისა და ოსების ეთნიკურ გაუცხოებას ქართველებისაგან, რაც საბოლოოდ მიმართული იყო საქართვე-ლოს ტერიტორიული მთლიანობისა და მისი სახელმწიფოებრი-ვი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. რუსეთის სამშვიდობოებს ამ სცენარით განკუთვნილი ჰქონდათ ტროას ცხენის როლი. მა-თი დახმარებით რუსეთი უზრუნველყოფდა საქართველოსგან გამოყოფილი ნაწილების, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საზ-ღვრების ხელშეუხებლობასა და ფაქტიურ დამოუკიდებლობას. ამასთან, რუსეთის მაღალ თანამდებობის პირთა მაღალფარდო-ვანი ფრაზები საერთაშორისო სამართლის ნორმების ურყევობის, ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოს საზღვრების ხელშე-უხებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის შესახებ, სიცრუე იყო. ან თუ რუსეთის ახლანდელი პრეზიდენტის დ.მედვედევის გამოთქმას გამოვიყენებთ, ისინი იტყუებოდნენ. სინამდვილეში მათ რიტორიკას უნდა შეენიღბა არსებული ვი-თარება მანამადე, სანამ საქართველოს დანაწევრება შეუქცევად ხასიათს არ შეიძენდა.

მაგრამ, დავუბრუნდეთ მიუნჰენს და ამის გაკეთება დაგვ-ჭირდება ყოველთვის, როგორც კი შევეხებით მოსკოვის სამხედ-რო საგარეოპოლიტიკურ აქციებს, რომლებიც გრძელვადიან პერ-

სპექტივებზეა გათვლილი. კრემლის მაშინდელი (მხოლოდ მაშინდელი?) ბატონ-პატრონი ღია ტექსტით გამოვიდა და მსმენელებს აგრძნობინა გაძლიერებული და საკუთარ თავში დარწმუნებული რუსეთის სიჯიუტის საზღვრები. კოსოვოს დამოუკიდებლობის ცალმხრივი ცნობა (დასავლეთის მიერ) და ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის აღმოსავლეთით, რუსეთის ფედერაციის საზღვრების სიახლოვეს გაფართოება, განაცხადა ვ.პუტინმა, გამოიწვევს ადექვატურ ზომებს რუსეთის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, გადაიხედება შეთანხმებები ნატოს ქვეყნებთან შეიარაღების სხვადასხვა სახეობების შესახებ. რუსეთის მხრიდან თითქმის ავტომატური რეაქციის სახით დასახელდა აგრეთვე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობის შესაძლებლობა. სხვათა შორის, საქართველოს შიდა კონფლიქტების შესახებ მსჯელობა მიუნჰენით არ დაწყებულა. ეს თემა მანამდეც ფართოდ განიხილებოდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში და არც თუ იშვიათად, ხანგრძლივი პოლიტიკური დისკუსიების ცენტრშიც ექცეოდა, ხოლო სიმძაფრის დონე ხან იმატებდა, ხან კი კლებულობდა. იგივე ხდებოდა უკანასკნელ წელიწადნახევრის განმავლობაში მიუნჰენის შემდეგაც. დიალოგი ყრუსა და მუნჯის საუბარს დაემსგავსა. ურთიერთ გაგების სურვილი ნულოვან ნიშანზე გაიყინა. მოსკოვი ხელიდან არ უშვებს შემთხვევას გამოეწყოს საერთაშორისო სამართლის მასწავლებლის მანტიაში და არ იღლება იმის გამეორებით, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი აღიარებს, როგორც სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის აუცილებლობას, ისე ერის თვითგამორკვევის უფლებას.

სხვათა შორის, "რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში" ხშირად ვხვდებით საერთაშორისო სამართალზე აპელაციის შემთხვევებს, მისი მოთხოვნების განუხრელ დაცვას, რაც ილუზიას ქმნის, რომ გვესაუბრებიან საერთაშორისო

სამართლის დამცველი კეთილშობილი რაინდები. კონცეფციის ეს მენტორული ტონი საინტერესოა არა იმიტომ, რომ მათ შემოქმედებს სურთ რომის პაპზე მეტი კათოლიკენი იყვნენ, არამედ სულით, რომელიც იმეორებს ვ.პუტინის მიუნჰენში გამოსვლის სულს. კონცეფციის ავტორებს, ვისაც მისი დაწერა დაევალა, მეორე აბზაცში, სადაც აღნიშნულია "წინამდებარე კონცეფცია ავსებს და განავითარებს რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფციის იმ დებულებებს, რომლებიც დამტკიცებული იყო რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მიერ 2000 წლის 28 ივნისს", სხვანაირად, რომ ჩამოეყალიბებინათ და ძველი, 2000 წლის კონცეფციის ნაცვლად, მათი შთაგონების ჭეშმარიტ წყაროდ პუტინის მიუნჰენის გამოსვლა მიეთითებინათ და აღენიშნათ, რომ ის მეტი არაფერია თუ არა ამ გამოსვლის კორექტირება, ნათელს მოფენდენ საკითხს კონცეფციის ავტორის შესახებ.

რუსეთის პოლიტიკის იმპერიული სული ერთ ნაირად იგრძნობა, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაშიც, ხოლო სამართალი ყოველთვის მისი მსახურის როლს ასრულებს. ის ცნობს მხოლოდ თვითმპყრობელურ ძალაუფლებას. ეს იმპერიული პოლიტიკის ალფა და ომეგაა. გაითავისა რა სამართლის პურიტანული დამცველისა და მოქადაგის როლი, რუსეთი მოუწოდებს მრევლს: "თანასწორუფლებიანი პარტნიორობისაკენ, საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების უცილობელი დაცვისაკენ" (იხ. "რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლტიკის კონცეფცია", IV თავი). ცივი ომის პერიოდისათვის დამახასიათებელი ბლოკური აზროვნება, უნდა შეიცვალოს ურთიერთობათა სრულიად სხვაგვარი სისტემით, "არა მხოლოდ ერთმანეთის ინტერესთა გათვალისწინება, არამედ ერთიანი წესების შემუშავება, რომლებსაც ეწოდება საერთაშორისო სამართალი და წესების მკაცრად დაცვა. საბოლოოდ, მხოლოდ ამას შეუძლია მსოფლიო-

ში სტაბილურობის შენარჩუნება და არა მარტო მცირე, არამედ დიდი ქვეყნების ინტერესთა დაცვა" (ნაწყვეტი პუტინის ინტერვიუდან, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ "ტაიმის" ფურცლებზე). შესაძლებელი იყო ციტატების მოყვანა ვ.პუტინის სხვა გამოსვლებიდანაც, რომლებსაც იგი დაუღალავად აკეთებდა თავისი პრეზიდენტობის მეორე ვადის გასვლამდე, თითქოს ამით ამართლებდა თავის დუმილს პრეზიდენტობის პერიოდში. რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის "კონცეფცია" იმ დებულებების ანაბეჭდია, რაც გახმოვანებული იყო პუტინის მიერ. მათი იდეური ნათესაობა, კიდევ უფრო თვალშისაცემია, როდესაც საქმე ეხება პრიორიტეტების განსაზღვრას, განსაკუთრებით საერთაშორისო ურთიერთობების რეგულირების სამართლებრივი მექანიზმების საკითხში. ეს ყველაფერი საშუალებას იძლევა აღინიშნოს: პუტინი წავიდა... იმისათვის რომ დარჩენილიყო.

საქმე რა თქმა უნდა პიროვნებებში არ არის. თუმცა რუსეთის ისტორიის უახლოესი დრამატული პერიოდი, თვალნათლივ მოწმობს ბ.ელცინისა და ვ.პუტინის პრეზიდენტობის მაგალითზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მეთაურთა პიროვნული თვისებები. ამავე დროს, არ უნდა გადავვარდეთ მეორე უკიდურესობაში და არ გავაზვიადოთ პიროვნული ფაქტორის მნიშვნელობა პოლიტიკაში. პასუხი სადღაც შუაშია. უნდა დავეთანხმოთ გოეთეს, რომელიც შენიშნავს, რომ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრს შორის ძევს არა ჭეშმარიტება, არამედ პრობლემა. ამ შემთხვევაში, ამა თუ იმ პოლიტიკური მოღვაწის მიერ შესრულებული როლის განსაზღვრის პრობლემა.

პიროვნული ფაქტორის მნიშვნელობის უარყოფისა ან აბსოლუტიზირების გარეშე, უნდა ვაღიაროთ, რომ პოლიტიკაში არსებობს უფრო ფუნდამენტური რეალიები. რუსეთთან დაკავშირებით, ნაპოლეონ ბონოპარტე მათ რიცხვს მიაკუთვნებდა: მის უკიდეგანო სივრცეს, რომელიც მას ანიჭებს უდიდეს გეოპ-

ოლიტიკურ უპირატესობას. ეს აზრი მან მისთვის დამახასიათებელი ხატოვნებით ასე გამოთქვა: რუსეთი უზარმაზარი ქვეყანაა, ის ყოველთვის იმართება თავისი სიმძიმით და შემთხვევითობით. შემთხვევითობაში უნდა ვიგულისხმოთ მმართველები.

ასევე ფუნდამენტური პოლიტიკური რეალობის კატეგორიას უნდა განეკუთვნოს ძალაუფლების ფენომენი, მისი ინსტიტუციურობა, უბრალოდ - სახელმწიფოებრიობა. ხელისულებაში პიროვნებათა შეცვლა ან ძალაუფლების მქონე პიროვნებათა ცვლა, არ არის თვით ძალაუფლების სახის შეცვლა. მდიდარი პოლიტიკური გამოცდილება მოწმობს, რომ პოლიტიკური (სახელმწიფო) გადატრიალებები არასაკმარისია ხელისუფლების, მისი სიღრმისეული სტრუქტურებისა და ორგანიზაციების ბუნების შესაცვლელად. ვერც საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ და ვერც ოქტომბრის რევოლუციამ ვერ აჯობა სახე მწიფო მოლოხს. პირიქით, საბოლოო ანგარიშში პირველ და მეორე შემთხვევაში გამარჯვებას სწორედ ის ზეიმობდა. რევოლუციების გამანადგურებელი დარტყმების შემდეგ ის მითიური ანთეოსივით ფეხზე დგებოდა, წელში იმართებოდა და ადრინდელზე უფრო ძლიერი ხდებოდა. თავი დავანებოთ ნაპოლეონისა და სტალინის იმპერიებს. ჩვენი თანამედროვეების თვალწინ იგივე მეორდება, რაც ადასტურებს იმ მოსაზრების ჭეშმარიტებას, რომ ისტორიის უსაშინლესი ძალა, ინერციის ძალაა. კომუნიზმის კრახის შემდგომი წლების "დამცირების წლების" გადატანის შემდეგ, რუსეთი, რომელიც საბჭოთა (ხოლო ისტორიულად მეფის) იმპერიის სამართალმემკვიდრეა უკვე ღიად აცხადებს საკუთარი იმპერიული ამბიციების შესახებ.

ამ კონტექსტში მრავალმნიშვნელოვანია ისტორიის საკითხებისადმი დაბრუნება, რომლებსაც "რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფციაშიც" მოეძებნა ადგილი. ის კონცენტრირებულია "მეორე სამამულო ომისა და ომის შემდგომი" პე-

რიოდის ინტერპრეტაციაზე. ამ საკითხების პირველ პლანზე გამოტანა, განპირობებულია არა აკადემიური საისტორიო მეცნიერების განვითარებაზე ზრუნვით, ჭეშმარიტების ძიებით, არამედ უტილიტარული მოსაზრებებით, რომლებიც მიმართულია რუსეთის "შეკავების" პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური განწყობის ინერციის წინააღმდეგ და აგრეთვე ისტორიისადმი შერჩევითი მიდგომების ცდებით, განსაკუთრებით კი მეორე მსოფლიო ომისა და ომის შემდგომი პერიოდის მიმართ.

რა თქმა უნდა არავის არა აქვს ისტორიის დამახინჯებისა და წარსულის ფაქტების ცალმხრივი გაშუქების უფლება. არ შეიძლება წარსულისათვის სამაგიეროს გადახდა, მაშინაც კი თუ ის არ მოგწონს. მაგრამ, გულუბრყვილოდ ჟღერს მოწოდება "არ დავუშვათ ისტორიული თემის პრაქტიკული პოლიტიკის ინტერპრეტაციის ინსტრუმენტად ქცევა" და ამას ვკითხულობთ დოკუმენტში, რომელიც მომზადდა საგარეო საქმეთა სამინისტროს კედლებში, დაწესებულებაში, რომელიც ძალზე შორს დგას მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევებისაგან. რატომღაც ვერ ამჩნევენ, რომ საკუთარ თავს ეწინააღმდეგებიან და ისტორიული კვლევების არაპოლიტიზირების მოწოდებას პოლიტიკურ დოკუმენტში ათავსებენ.

საერთოდ, ისტორიული მეცნიერების სტატუსის, პოლიტიკის ურთიერთობა ისტორიული სიმართლისადმი (ბრჭყალების გარეშე) მეტად რთული საკითხებია და არც მათი ცალსახა გადაწყვეტა არსებობს. ნათელია, რომ ვერავინ შესძლო ყოფილიყო თავისუფალი სოციალური გარემოს გავლენისაგან, არ განიცდიდეს მის ზემოქმედებას და დარჩეს ობიექტური ეპოქის საჭირბოროტო საკითხებში. ჯ.ორუელმა თავის რომანში "1984" აღწერა სიტუაცია, შესაძლოა ზედმეტად მუქ ფერებში, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ მისი ნათქვამი: "ვინც აკონტროლებს წარსულს _ აკონტროლებს დღევანდელობას, ვინც აკონტროლებს დღევანდე-

ლობას - აკონტროლებს წარსულს". ეს სიტყვები მოწმობს პოლიტიკური მიდგომის დომინირებას, პირდაპირ რომ ვთქვათ, სოციალურ-ისტორიული ცოდნის სფეროში პოლიტიკის ჩარევას. ვსაუბრობთ არა ამ უკანასკნელის ანგაჟირებულობაზე, არამედ რეალურ სიძნელეებზე, რომლებიც დგას მკვლევრების, მათ შორის ისტორიული თემების მკვლევრების წინაშე. თუმცა ანგაჟირების შემთხვევები უამრავია. ისეთი ნაშრომების რიცხვი, რომლებშიც პოლიტიკური მიზნები შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, ისე მრავლდება გარდამავალ პერიოდში, როგორც ჭიაყელები წვიმის შემდეგ. კონიუნქტურის პროდუქტებს არა აქვთ სამეცნიერო ღირსება, მაგრამ, სამაგიეროდ, პასუხობენ იმ კურსს, რომელსაც თანამიმდევრობით ატარებს მოსკოვი. პოლიტიკური კონფრონტაციის მოთხოვნილებების შესაბამისი კვლევები, არც მალავენ ანგაჟირებულობას, პირიქით, თავის უხეშ ტენდენციურობას კეთილშობილებად მიიჩნევენ და ობიექტურობა სინდისის ქენჯნის გარეშე მოაქვთ კონიუნქტურის მსხვერპლად.

ანგაჟირებული ლიტერატურა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა შესახებ, ამის უამრავ მტკიცებულებას იძლევა. ის შინაგანად ეწინააღმდეგება და კიცხავს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მისწრაფებას დამოუკიდებლობისადმი და თანაუგრძნობს რუსეთის ხელისუფლებას, რომელიც ვერ ურიგდება იმ ფაქტს, რომ ეს ქვეყნები უნდა მიიჩნიოს მეტროპოლიისაგან თავისუფალ, დამოუკიდებელ, "უცხო სახელმწიფოებად". რუსული პოლიტიკისათვის დამახასიათებელი აგრესიულობა და ექსპანსიონიზმი განაპირობებს იმპერიის ამ ადეპტთა მსოფლმხედველობას. მეტიც, როგორც ჰ.კისინჯერი აღნიშნავს (იხ. "ჰერალდ ტრიბუნი", 21.03.2007), "რუსეთის ყველა მოქალაქისათვის, მათ შორის ანტისაბჭოურად განწყობილებისთვისაც კი, ეს იყო იმპერიის ნგრევა, რომელმაც დარტყმა მიაყენა რუსულ თვითშეგნებას".

ბუნებრივია, რომ რუსულ-ქართული ურთიერთობის ვაკხანალიის უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება. აუცილებელია ალტერნატიული ზომების მიღება ფსევდომეცნიერული ინტერპრეტირების მიმართ. ამ აქტუალურ ამოცანას ეძღვნება სხვადასხვა თაობის ქართველი მეცნიერების ნაშრომები. კიდევ კარგი, რომ საქართველოში უკვე დიდი ხანია არსებობს ქვეყნის ისტორიის შესწავლის მტკიცე ტრადიცია, შექმნილია ისტორიკოსთა, პოლიტოლოგთა და ეკონომისტთა შრომების სოლიდური ბაზა, რომლებიც თავის კვლევებს რუსულ-ქართულ ურთიერთობათა საკითხებს უძღვნიან, პოსტსაბჭოური პერიოდით დამთავრებული, როდესაც რუსეთმა ეს ურთიერთობები შეგნებულად მოაქცია ჩიხში. ამიტომ, განხეთქილების პირობებში, ადვილია აჰყვე ცდუნებას, და როგორც დღეს იტყვიან, ადექვატური პასუხი გასცე ანუ შავზე კიდევ გადაუსვა შავი საღებავი, რათა წარმოადგინო რუსეთი საქართველოს ღვთის რისხვად. თუ გამოვიყენებთ ლუთერის გამონათქვამს იმის შესახებ, რომ ყველა ხალხს თავისი ავსული, სატანა ჰყავს, რუსეთს მართლაც ძალიან უნდა შეასრულოს ეს როლი საქართველოს ისტორიაში. მან საკუთარი თავი ორჯერ გამოსცადა ამ როლში. პირველად 1783 წელსა და მომდევნო წლებში, 1801 წლის მანიფესტამდე. შემდეგ ისტორია გამეორდა 1921 წელს, როდესაც საბჭოთა რუსეთმა დაამხო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლება, საქართველო მოდერნიზებული იმპერიის წიაღში. დღეს რუსეთი მესამე ცდას აკეთებს. "ახლა ან არასოდეს" - გერმანიის იმპერატორის ვილჰელმ II-ის ეს ცნობილი ფრაზა, წარმოითქვა პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინა დღეს, ალბათ, ხშირად ახსენდებოდათ იმ სცენარის ავტორებს, რომელთაც კოსოვოს დამოუკიდებლობის ცნობისაგან პრეცენდენტის შექმნა სურთ. რუსეთი ჯიუტად მიიწევს თავის მიზნისკენ. საქართველოს ისტორიის სცენაზე ლუთერისეული სატანის როლის შესრულებაში მას და-

ეხმარება სეპარატისტული რეჟიმების აღიარება და აფხაზეთისა და მასთან მიტმასნილი სამხრეთ ოსეთის ცნობა! ყოველ შემთხვევაში, იმ სპექტაკლის რეპეტიციები, რომელშიც რუსეთმა ნამდვილად სატანური როლი უნდა შეასრულოს, უკვე თხუტმეტი წელია გრძელდება.

რუსეთი სანამ იმპერიული ცრურწმენების ტყვეობაშია თავისი ისტორიული მისიის შესახებ, უიმედოა, რომ იგი მისთვის მოსაწონ ამპლუას შეცვლის. სხვანაირად ფიქრი იქნებოდა "აზრის არაჩვეულებრივი სიმსუბუქე" (ა.გრიბოედოვი, "ვაი ჭკუისაგან"). ასეთი წარმოდგენებისაგან და აგრესიულობისაგან განკურნება და ამასთან ერთად იმპერიული ამბიციებისა და აგრესიულობისაგან თავის დაღწევა, შესაძლებელია მხოლოდ ერთ შემთხვევაში - ქვეყანაში დემოკრატიული გარდაქმნების შემთხვევაში. სხვა გამოსავალი, თუ არა წარსულის ტყვეობისაგან თავის დაღწევა, უბრალოდ არ არსებობს.

წარსული, როგორც ცნობილია, საკუთარი ნებით, ბრძოლის გარეშე არ ტოვებს სცენას. ის გარემოება, რომ დსთ-ს ქვეყნებში არსებობენ ავტორიტარული რეჟიმები, რომლებსაც მორიდებით ხან "სუსტ ავტორიტარიზმს" ან კიდევ "დემოკრატიული ავტორიტარიზმს" უწოდებენ - იმის მკაფიო დასტურია, რომ საქმე პიროვნებებში კი არ არის, რომლებიც ამ რეჟიმებს უდგანან სათავეში, არამედ უფრო არსებით მიზეზებშია. დამხობილი ტოტალიტარული სისტემის ნამსხვრევებიდან, მისი ნარჩენებიდან შეუძლებელია დემოკრატიის აშენება. ამისთვის სხვა მასალაა საჭირო, სხვა პოლიტიკური ინჟინერია - ერთი სიტყვით, სხვა პოლიტიკური კულტურა. მაგრამ გადაწყვეტილებების მიღების დრო დადგა: "ყოფნა არ ყოფნა?" ამ საკრამენტული კითხვის პასუხი მხოლოდ ერთადერთი შეიძლება იყოს - თავი დავაღწიოთ წარსულის ტყვეობას. ეს გაუხსნის გზას რუსეთს დემოკრატიუ-

ლი განვითარებისკენ და მოხსნის ბარიერებს საქართველოს დამოუკიდებლობის გზაზე.

Vazha Keshelava

Russian-Georgian Relations in the Captivity of the Past (History and Politics)

Summary

Georgia had been the victim of the Russian aggression at different times. The same is true for the contemporary period. Russia, acting in empire spirit, aims at conquering the South Caucasus. The occupation of Abkhazia and South Ossetia marked the begining of another round of attack on Georgia.

The normalization of the Georgian-Russian relations and the begining of equal relations depends on removal of the old stereotypes and will be determined by the shift in the values of the Russian citizens towards democracy, transforming society according to these principles. There is no alternative: imperial ambitions and the cult of powet should be overpowered by the real practice of democratic consiousness, rather respecting it only through declarations, according to the norms of the imperial practice.